სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/20

ქ. თბილისი 16 თებერვალი 2024 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული არჩევნების შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის 1 პუნქტის „ღ“ ქვეპუქტის, სტუ-ის საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3-ისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად 2024 წლის 16 თებერვალს აკადემიურ საბჭოში ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგების მიხედვით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე არჩეულად გამოცხადდეს პროფესორი ვაჟა პაპასკირი და მისი უფლებამოსილება წარმოშობილად ჩაითვალოს 2024 წლის 18 თებერვლიდან 4 წლის ვადით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**
აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**